

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის (ინფორმაციის თავისუფლება) მოთხოვნათა შესრულების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის 49-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში – კომისია) მიერ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა კომისიაში ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, აგრეთვე ამავე კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულების შესრულებისა და კოდექსში მითითებული ვადების დაცვის მდგომარეობა.

საანგარიშო პერიოდად აღებულია 2018 წლის 1 დეკემბრიდან 2019 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდი.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე შემოვიდა სულ 55 (ორმოცდათხუთმეტი) წერილობითი მოთხოვნა, აქედან სრულად დაკმაყოფილდა 43, ნაწილობრივ – 11 და არ დაკმაყოფილდა 1. ნაწილობრივ დაკმაყოფილება და უარის თქმა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე გამოწვეული იყო მოთხოვნილი ინფორმაციის კომისიაში არარსებობით, კონფიდენციალურობით ან შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობით.

„საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში არსებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2014 წლის 3 იანვრის №3 ბრძანების შესაბამისად, კომისიაში არსებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის დირექტორი ელეონორა ლავგილავა. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნასთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი აწარმოებდა როგორც კომისიის ელექტრონული ფოსტით (publicinfo@gnerc.org), ასევე კანცელარიით საჯარო ინფორმაციის გაცემის ან განმარტების მოთხოვნის თაობაზე შემოსული წერილების რეესტრს.

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით კომისიაში შემოსული 55 (ორმოცდათხუთმეტი) კორესპონდენციიდან მოთხოვნილი იყო:

- საქართველოს პარლამენტის წევრ ვ. ჯაფარიძის მიერ

03.06.2019წ. №5738/01 წერილით – შახდენიზის გაზის 2001 წლის ტრანზიტის ხელშეკრულება, აზერბაიჯანის მხრიდან გამყიდველი-მიმწოდებელი და საქართველოში, საზღვარზე მყიდველი-მიმღები კომპანიების დასახელება, 2001 წლიდან დღემდე ტრანზიტით ტრანსპორტირებული გაზის ოდენობა

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, არ მიეწოდა შახდენიზის გაზის 2001 წლის ტრანზიტის ხელშეკრულება, განემარტა, რომ კომისია მოკლებულია შესაძლებლობას, მიაწოდოს საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 19 დეკემბრის №1202 დადგენილებით რატიფიცირებული „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამხრეთკავკასიური მილსადენის სისტემის საშუალებით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ბუნებრივი გაზის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ“ ხელშეკრულება კომისიაში მისი არარსებობის გამო. ასევე არ მიეწოდა ინფორმაცია სამხრეთკავკასიური მილსადენის მეშვეობით ტრანზიტად გადინებული ბუნებრივი გაზის ოდენობის შესახებ, ვინაიდან „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ბუნებრივი გაზის ტრანზიტი არ წარმოადგენს კომისიის მიერ რეგულირებად საქმიანობას, რის შესახებ ანგარიშგების კომისიაში წარმოდგენაც არ ხდება);

- **საქართველოს პარლამენტის წევრ ზ. ჭიაბერაშვილის მიერ**

23.10.2019წ. №9978/01 წერილით – ინფორმაცია, რომელმა კომპანიებმა განახორციელეს ელექტროენერჯის იმპორტი რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში 2018 წელს (იმპორტირებული ელექტროენერჯის რაოდენობის მითითებით)

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

- **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ**

11.03.2019წ. №2700/01 წერილით – 2016-2018 წლების ინფორმაცია: წყალმომარაგების ლიცენზირებული კომპანიების სამოქმედო ტერიტორიებისა და მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, რომლებსაც მიეწოდებათ ამ კომპანიების მიერ სასმელი წყალი, სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის ინდექსის მაჩვენებელი და სხვა, რომლებიც ასახავენ ამ წლებში ქვეყანაში მოსახლეობის წყალმომარაგების მდგომარეობის სფეროში პროგრესს

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

- **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ**

25.10.2019წ. №10089/01 წერილით – იმპორტული ენერჯის ფასების ისტორიული მონაცემები და მომავალი ტენდენციები (გაზი, ელექტროენერჯია), სამომხმარებლო ტარიფების ტენდენციები (გაზი, ელექტროენერჯია), გაზის ისტორიული წლიური დატვირთვა დარგების მიხედვით, ელექტროენერჯის ისტორიული წლიური დატვირთვა დარგების მიხედვით; ფიქსირებული საოპერაციო ხარჯები, ცვლადი საოპერაციო ხარჯები, მშენებლობის ღირებულება, ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა (დანართის სახით მოცემული სადგურების ჩამონათვალის მიხედვით)

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. არ მიეწოდა ინფორმაცია იმპორტირებული ელექტროენერჯის ფასების შესახებ, რადგან სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისა“ და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“, როგორც იმპორტის განმახორციელებელი მხარეების, მოთხოვნით, კომისიას აღნიშნული ფასები, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლის შესაბამისად, ცნობილი აქვს კომერციულ საიდუმლოებად);

- საქართველოს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ
12.06.2019წ. №6044/01 წერილით – შპს „აღმოსავლეთის ენერჯოკორპორაციის“ საკუთრებაში არსებული ხადორის ჰესისთვის გაცემული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიები და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, 110 კვტ-იანი ელექტროგადამცემი ხაზისათვის ელექტროენერჯის გადაცემის ტარიფები 2013-2018 წლის საანგარიშო პერიოდისათვის

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად. განმცხადებელს დამატებით განემარტა, რომ 110 კვტ-იანი ელექტროგადამცემი ხაზისათვის ელექტროენერჯის გადაცემის ტარიფები 2013-2018 წლის საანგარიშო პერიოდისათვის უდგინდება მხოლოდ ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზიატს მის მფლობელობაში არსებულ ქსელებზე, ხოლო ვინაიდან შპს „აღმოსავლეთის ენერჯოკორპორაცია“ არ არის ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზიატი, მის საკუთრებაში არსებულ 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზს იყენებს მისსავე საკუთრებაში არსებული გენერაციის ობიექტის გადამცემ ქსელთან დასაკავშირებლად და ეს ხაზი არ წარმოადგენს ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის ნაწილს, მასზე გადაცემის ტარიფის დადგენა ან სხვა ლიცენზიატისათვის დადგენილი ტარიფის გავრცელება შეუძლებელია);

16.07.2019წ. №7080/01 წერილით – შპს „აკრიანი-2006“-ისთვის 2016 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 ივნისამდე ბუნებრივი აირის საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდების დადგენილი ტარიფი, როგორც სოციალური, ისე კომერციული მიწოდების შემთხვევაში; შპს „აკრიანი-2006“-ის მიერ სემეკში წარმოდგენილი სრული ინფორმაცია/დოკუმენტაციის ასლი (მათ შორის დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებს – მოგება-ზარალი, ბალანსი, აქტივები, ლიცენზია); შპს „აკრიანი-2006“-ისთვის, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივი აირის გამანაწილებელს სოფ. მარტყოფში, ბუნებრივი აირის მიწოდებისას, ბუნებრივი აირის გამანაწილებელ ქსელში დანაკარგის დადგენილი ნორმა 2016 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 ივნისამდე პერიოდში, დანაკარგების ნორმის ცვლილების შემთხვევაში შესაბამისი პერიოდის მითითებით

(მოთხოვნილი ინფორმაცია მიეწოდა სრულად);

- ქალაქ ონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ
20.03.2019წ. №3095/01 წერილით – ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კომისიის მიერ გაცემული ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია რომელ იურიდიულ პირს აძლევს უფლებას ექსპლუატაცია გაუწიოს გამანაწილებელ ქსელს, გაანაწილოს და გაატაროს ბუნებრივი გაზი კონკრეტული გამანაწილებელი ქსელის ფარგლებში

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

ლიცენზიებისა და ნებართვების მფლობელი პირების მიერ:

- სს „ენერჯო-პრო ჯორჯიას“ მიერ
18.02.2019წ. №1920/01 წერილით – „ქ. ბათუმში მოსალოდნელი დატვირთვის გამო მიერთების/სიმძლავრის გაზრდის პერიოდის გადავადებაზე სს „ენერჯო-პრო ჯორჯიას“ მოთხოვნების განხილვის თაობაზე“ გადაწყვეტილების გამოცხადებისა" და „ქ. ბათუმში მოსალოდნელი დატვირთვის გამო შპს „რენესანს დეველოპმენტ გრუპის“ ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ვადის გაზრდოს თაობაზე სს

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოთხოვნის განხილვის შესახებ“ კომისიის 2018 წლის 2 აგვისტოსა და 16 აგვისტოს სხდომების ოქმებიდან ამონარიდები.

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

04.07.2019წ. №6749/01 წერილით – ფიზიკურ პირსა და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის არსებული დავის შესახებ კომისიის 2019 წლის 13 ივნისის სხდომის ოქმიდან ამონარიდი

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

- **სს „თელასის“ მიერ**

12.12.2018წ. №14919/01 წერილით – ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ კომისიის 2014 წლის 30 ივლისის სხდომის სტენოგრამა და ამონაწერი სხდომის ოქმიდან

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, არ მიეწოდა კომისიის სხდომის ოქმის სტენოგრამა, განემარტა, რომ მის წარმოებას არც ერთი ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებს, რის გამოც კომისია მოკლებულია შესაძლებლობას, გასცეს აღნიშნული ჩანაწერი);

12.12.2018წ. №14918/01 წერილით – „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ კომისიის 2018 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კომისიის 2015 წლის 3 სექტემბრის სხდომის სტენოგრამა და ამონაწერი სხდომის ოქმიდან

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, არ მიეწოდა კომისიის სხდომის ოქმის სტენოგრამა, განემარტა, რომ მის წარმოებას არც ერთი ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებს, რის გამოც კომისია მოკლებულია შესაძლებლობას, გასცეს აღნიშნული ჩანაწერი);

24.12.2018წ. №15440/01 წერილით – „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ზოგიერთ დადგენილებაში (სამივე სექტორში მოქმედ მიწოდებისა და მოხმარების წესებში) ცვლილების შეტანის თაობაზე“ კომისიის 2018 წლის 14 დეკემბრისა და 18 დეკემბრის სხდომების ოქმებიდან ამონარიდები

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

20.05.2019წ. №5265/01 წერილით – „მომხმარებლის, შპს „ჰაუს ბილდინგ გრუპის“ კუთვნილი ობიექტის მისაერთებელი სიმძლავრის გაზრდის - ვადის გაზრდის თაობაზე სს „თელასის“ მოთხოვნის განხილვის შესახებ“, შპს „დიდმის ველსა“ და სს „თელასს“ შორის არსებული დავის შესახებ და შპს „ნასინგიზის“ კუთვნილი ობიექტის სიმძლავრის გაზრდის ვადის გაზრდის თაობაზე სს „თელასის“ მოთხოვნის განხილვის შესახებ“ კომისიის 2019 წლის 28 თებერვლისა და 7 მარტის სხდომების ოქმებიდან ამონარიდები

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

09.08.2019წ. №7866/01 წერილით – „ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროენერჯით საიმედო მომარაგების თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 23 აგვისტოს №66/18 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2019 წლის 31 მაისის სხდომის სტენოგრამა და ამონარიდი

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, არ მიეწოდა სტენოგრამა, განემარტა, რომ კომისიის სხდომის ოქმი იწარმოება ელექტრონული ფორმით - უწყვეტი ჩაწერის რეჟიმში და დამატებითი სტენოგრაფირება არ ხდება);

- **სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ**

13.12.2018წ. №15021/01 წერილით – „შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის

20 მარტის №20/1 გადაწყვეტილებით გაცემულ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ახალი მომხმარებლის, შპს „ნექტარი-2008“ კუთვნილი ობიექტის მისაერთებელი სიმძლავრის გაზრდის – ვადის გაზრდის თაობაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოთხოვნის განხილვის შესახებ“, შპს „ემ.ჯი რენიუებლზ“-ის (ლოპოტაპესის) ელექტროენერჯის მიღება-ჩაბარების აქტებში ელექტროენერჯის რაოდენობის გაანგარიშების თაობაზე კომისიის გადაწყვეტილების გამოცხადების შესახებ, „ზეპირი მოსმენა „ქსელის წესების“ 42-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესისგან განსხვავებული გამორთვების გეგმის შეთანხმების თაობაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ მოთხოვნის განხილვის შესახებ“ და „ზეპირი მოსმენა „ქსელის წესების“ 42-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესისგან განსხვავებული გამორთვების გეგმის შეთანხმების თაობაზე სს „ზაჰესის“ მოთხოვნის განხილვის შესახებ“ კომისიის 2018 წლის 2 ნოემბრის, 8 ნოემბრის, 14 ნოემბრის, 22 ნოემბრისა და 29 ნოემბრის სხდომების ოქმებიდან ამონარიდები

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

16.04.2019წ. №4153/01 წერილით – „ქსელის წესების“ ცალკეული მოთხოვნების შესრულების გადავადების თაობაზე სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა“ და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მოთხოვნების განხილვის შესახებ კომისიის 2019 წლის 15, 22 მარტისა და 4 აპრილის სხდომების ოქმებიდან ამონარიდები

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

24.04.2019წ. №4506/01 წერილით – „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლის წესების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ კომისიის 2015 წლის 16 სექტემბრის №51/18 გადაწყვეტილების მოთხოვნების შესრულების შესახებ, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ კომისიის 2015 წლის 29 ოქტომბრის №57/72 გადაწყვეტილების მოთხოვნების შესრულების შესახებ და კომისიის 2014 წლის 17 აპრილის №10 დადგენილებით დამტკიცებულ „ქსელის წესებში“ ცვლილების შეტანის თაობაზე კომისიის 2019 წლის 15, 18 და 22 აპრილის სხდომების ოქმებიდან ამონარიდები

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

11.06.2019წ. №5996/01 წერილით – „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 17 აპრილის №10 დადგენილებით დამტკიცებულ „ქსელის წესებში“ ცვლილების შეტანის თაობაზე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 12 ივლისის №54/23 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, „დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესების დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 18 ოქტომბრის №83/17 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“, „ზეპირი მოსმენა ქ. ბათუმში მოსალოდნელი დატვირთვის გამო მიერთების/სიმძლავრის გაზრდის პერიოდის გადავადებაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოთხოვნის განხილვისა და განმარტების შესახებ“, „ზეპირი

მოსმენა „აჭარის რეგიონის ელექტროენერჯით საიმედო მომარაგების თაობაზე“ კომისიის 2018 წლის 23 აგვისტოს №66/19 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2019 წლის 24 მაისის, 30 მაისისა და 31 მაისის სხდომების ოქმებიდან ამონარიდები

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

01.02.2019წ. №1241/01 წერილით – „ქსელის წესების“ ცალკეული მოთხოვნების გადავადების თაობაზე შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის“ მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ“ კომისიის 2015 წლის 29 ოქტომბრის №57/69 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროენერჯით საიმედო მომარაგების თაობაზე“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 23 აგვისტოს №66/18 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2019 წლის 18 და 31 იანვრის სხდომების ოქმებიდან ამონარიდები

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

19.07.2019წ. №7199/01 წერილით – „ზეპირი მოსმენა შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიასთვის“ „ქსელის წესების“ ცალკეული მოთხოვნების შესრულების გადავადების თაობაზე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნის განხილვის შესახებ“, „ზეპირი მოსმენა „ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზიატის სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კუთვნილ ქვესადგურებში არსებული თავისუფალი სიმძლავრეების გამოთვლის მეთოდოლოგიის შეთანხმების შესახებ“ და „ზეპირი მოსმენა ქ. ბათუმში მოსალოდნელი დატვირთვის გამო მიერთების/სიმძლავრის გაზრდის პერიოდის გადავადებაზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოთხოვნების განხილვისა და განმარტების შესახებ“ კომისიის 2019 წლის 5 ივნისის, 7 ივნისის, 14 ივნისის, 19 ივნისისა და 21 ივნისის სხდომების ოქმებიდან ამონარიდები

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

- შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ

08.11.2019წ. №10497/01 წერილით – საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სადავო საკითხების შესახებ კომისიის 2019 წლის 22 და 23 ოქტომბრის სხდომების ვიდეო- და აუდიოჩანაწერები

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; არ მიეწოდა კომისიის სხდომები ვიდეოჩანაწერების სახით, რადგან ამ სახით კომისიის სხდომის ოქმი არ იწარმოება)

- შპს „თბილისი ენერჯის“ მიერ 13.11.2019წ. №100642/01 წერილით – კომისიის გადაწყვეტილება შპს „დილომი ვილა გაზზე“ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის გაცემის თაობაზე

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ:

- ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ

14.02.2019წ. №1733/01 წერილით – 2017-2018 წლებში კომისიის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტანენტის თანამშრომელთა სრული ოდენობა, მათ შორის შტატგარეშე თანამშრომლების ჩათვლით, წლების მიხედვით, მათ მიერ აღებული ხელფასის/პრემიის/ბონუსის/დანამატის სრული ოდენობა, მათ შორის

შტატგარეშე თანამშრომლების ჩათვლით, წლების მიხედვით, 2018 წელს კომისიის მიერ გაწეული ნებისმიერი სახის რეკლამის/სპონსორობის/ტელეშოპინგის/პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების)/პიარ ღონისძიების წარმოების, განთავსებისა და გავრცელების ხარჯის რაოდენობა რეკლამის განთავსების ადგილების მითითებით, თვეების მიხედვით

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

- ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ

31.10.2019წ. №10230/01 წერილით – კომისიის 2019 წლის 30 ოქტომბრის სხდომის ვიდეო და აუდიო ოქმი, ასევე სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერი, რომელიც შედგა კომისიის აპარატის თანამშრომელსა და ააიპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელს შორის

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, არ მიეწოდა კომისიის სხდომის ოქმი ვიდეოჩანაწერის სახით, რადგან ამ სახით კომისიის სხდომის ოქმი არ იწარმოება და ასევე ვერ მიეწოდა ერთ-ერთი სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერი, რომელიც შედგა კომისიის აპარატის თანამშრომელსა და ააიპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელს შორის, რადგან მისი განხორციელებიდან გასული იყო 6 თვეზე მეტი და იგი დაარქივებული სახით აღარ ინახებოდა);

12.11.2019წ. №10510/01 წერილით – კომისიის 2019 წლის 30 ოქტომბრის სხდომის ვიდეო ოქმი

(მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, განმარტა, რომ კომისიის სხდომის ოქმი ამ ფორმით არ იწარმოება);

- ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდის“ მიერ

08.05.2019წ. №4957/01 წერილით – კომისიის მიერ შპს „კლიპ არტთან“ დადებული ხელშეკრულებების შესახებ

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

სხვადასხვა:

- შპს „ლოგიკას“ მიერ

21.01.2019წ. №645/01 წერილით – კომისიის 2018 წლის 2 ნოემბრის №89/7 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სს „თელასის“ მიერ კომისიაში წარმოდგენილი ყველა დოკუმენტის ასლი

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

- „ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლიუსი აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის“ მიერ
21.02.2019წ. №2084/01 წერილით – წყალმომარაგების ტარიფების გაანგარიშებისათვის გამოყენებული წყალმომარაგების ყველა ხარჯი წყლის მიმწოდებელი კომპანიების დონეზე, ცალკე თითოეული სისტემისათვის თითოეულ მუნიციპალიტეტში (დედოფლისწყარო, სიღნაღი, საგარეჯო, გურჯაანი, ლაგოდეხი, ყვარელი, თელავი, ახმეტა, თიანეთი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, წალკა, ბორჯომი) 2008-2018 წლებისათვის ყოველწლიური და ყოველთვიური; წყალჩაშვების ტარიფების გაანგარიშებისათვის გამოყენებული წყალჩაშვების ყველა ხარჯი კომუნალურ დონეზე, ცალკე თითოეული სისტემისათვის თითოეულ მუნიციპალიტეტში 2008-2018 წლებისათვის ყოველწლიური და ყოველთვიური; წყალაღების დანაკარგები წყლის მიმწოდებელი კომპანიებისათვის შესაბამისი მუნიციპალიტეტების ჭრილში 2008-2018

წლებისათვის ყოველწლიური და ყოველთვიური; წყალჩაშვების მოცულობა მუნიციპალიტეტების, სექტორებისა და წყალჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების მიხედვით 2008-2018 წლებისათვის

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; არ მიეწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტების მიხედვით, განემარტა, რომ კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №18 დადგენილებით ლიცენზიატი საწარმოსათვის განსაზღვრულია ერთიანი ანგარიშგების ფორმები, რომლებიც მოიცავს საწარმოს მიერ წლის ჭრილში წარმოსადგენი ფინანსური და ტექნიკური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციას და იგი არ ითვალისწინებს მონაცემების ჩაშლას მუნიციპალიტეტების მიხედვით. ეცნობა, რომ მითითებული ადმინისტრაციული ერთეულები წარმოდგენს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სალიცენზიო არეალს და მას მიმართა კომისიამ მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდების მიზნით, რომლის საპასუხო წერილიც გაეგზავნა დანართის სახით);

- შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ მიერ

17.10.2019წ. №9763/01 წერილით – 2015-2018 წლებში ყაზბეგის მუნიციპალიტეტში თვეების მიხედვით საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ელექტროენერჯის მოხმარება სატარიფო საფეხურების მიხედვით და ბუნებრივი გაზის მოხმარება

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

- სს „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ

28.10.2019წ. №10113/01 წერილით – გაზის სექტორის 9 და 6 თვის ჯამური მონაცემები 2018 და 2019 წლებისთვის: გაზის იმპორტის მოცულობის შესახებ წყაროების მიხედვით (2018 წლის წლიურ ანგარიშში „ცხრილი 2.1. საქართველოში გაზის მიღება პუნქტების მიხედვით“-ში მითითებული ინფორმაცია; გაზის მოხმარება მომხმარებელთა ჯგუფების მიხედვით (2018 წლის წლიურ ანგარიშში „ნახაზი 2.5.8 ბუნებრივი გაზის მოხმარება სხვადასხვა სექტორების მიხედვით“-ში მითითებული ინფორმაცია)

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

- შპს „მმს-გაზის“ მიერ

11.12.2018წ. №14901/01 წერილით – შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სატარიფო განაცხადი

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

21.01.2019წ. №667/01 წერილით – შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისისთვის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების, განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების დადგენის შესახებ კომისიის 2018 წლის 26 დეკემბრის სხდომის ოქმის ამონაწერი

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

- სს „თბილლითონნაწარმის“ მიერ

15.03.2019წ. №2950/01 წერილით – „ზეპირი მოსმენა სს „თბილლითონნაწარმსა“ და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ შორის არსებული დავის შესახებ“ კომისიის 2019 წლის 21 თებერვლისა და 7 მარტის სხდომების ოქმების მასალები

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

- BS „METAL GROUP“-ის

05.02.2019წ. №1349/01 წერილით – შპს „BS METAL GROUP“-სა და შპს „სოკარ ჯორჯია გაზს“ შორის არსებულ დავაზე კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის სხდომის ოქმიდან ამონარიდი და კომპანიის ვიდეოფაილი დისკის სახით

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

- **სსიპ „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მიერ**
11.07.2019წ. №6961/01 წერილით – ინფორმაცია ქ. ახალციხეში არსებული გაზის განაწილების ლიცენზიატის შესახებ, რომლის საშუალებითაც დადგინდება მისი ექსკლუზიური უფლებამოსილება, გაზის მრიცხველის შეცვლის საკითხზე გამარტივებული შესყიდვის მომსახურების შესყიდვის მიზნით
(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);
- **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ**
18.02.2019წ. №6207/01 წერილით – მცხეთის, დუშეთის, ყაზბეგის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის ბუნებრივი გაზის მიღებისა და რეალიზაციის 2015-2018 წლების მონაცემები, ასევე გაზის აბონენტთა რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში ცალკეული დასახლებული პუნქტისა და სოფლის მიხედვით
(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);
- **სტუდია „მონიტორის“ მიერ**
05.03.2019წ. №2492/01 წერილით – შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მიერ მარეგულირებელ კომისიაში წარმოდგენილი იმ ანგარიშების ასლები, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია კომპანიის მიერ გაზის ტრანსპორტირებისას არსებული დანაკარგების შესახებ, წლების მიხედვით, 2010 წლიდან 2018 წლის ჩათვლით; ამავე პერიოდში შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მიერ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისას დაფიქსირებული დანაკარგების შესახებ, დანაკარგების დინამიკის, გეოგრაფიული არეალის, მილსადენების ან/და მილსადენების მონაკვეთების მითითებით
(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

ფიზიკური პირების მიერ:

- 14.03.2019წ. №2885/01 განცხადება – მონაცემები თბილისში ელექტროენერჯის საათობრივი მოხმარების შესახებ 2016 წლიდან 2018 წლის ჩათვლით
(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);
- 14.03.2019წ. №2886/01 განცხადება – მონაცემები საქართველოში საყოფაცხოვრებო და კომერციულ სექტორში ელექტროენერჯის ყოველთვიური მოხმარების შესახებ 2014 წლიდან 2018 წლის ჩათვლით.
(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);
- 01.02.2019წ. №1197/01 განცხადება – შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდს“ და ფიზიკურ პირს შორის არსებულ დავაზე კომისიის 2019 წლის სხდომის ოქმის აუდიოჩანაწერი
(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);
- 28.02.2019წ. №2326/01 განცხადება – შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდს“ და „ვასაძის პურს“ შორის არსებულ დავაზე კომისიის 2019 წლის იანვარ-თებერვლის სხდომების ოქმებიდან ამონარიდები
(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);
- 14.12.2018წ. №15109/01 განცხადება – „ზეპირი მოსმენა შპს „ნაის ავლაბარსა“ და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდს“ შორის არსებული დავის შესახებ“ კომისიის 2018 წლის 13 დეკემბრის, 17 დეკემბრისა და 20 დეკემბრის სხდომების ოქმებიდან ამონარიდები
(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

- 09.01.2019წ. №152/01 განცხადება – ინდივიდუალურ მეწარმე/ფიზიკურ პირსა და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ შორის არსებულის დავის შესახებ კომისიის 2018 წლის 20 დეკემბრის სხდომის ოქმიდან ამონარიდი
(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);
- 19.07.2019წ. №7200/01 განცხადება – შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსა“ და ფიზიკურ პირს შორის არსებული დავის შესახებ კომისიის 2019 წლის 18 ივლისის სხდომის ოქმიდან ამონარიდი
(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);
- 07.08.2019წ. №7768/01 განცხადება – შპს „ბანი 2007“-ს, შპს „ნიუ ლაიფსა“ და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ შორის არსებული დავის შესახებ კომისიის 2019 წლის 26 ივლისის სხდომის ოქმიდან ამონარიდები
(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);
- 24.10.2019წ. №10009/01 განცხადება – „ზეპირი მოსმენა შპს „ანაგსა“ და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ შორის არსებული დავის შესახებ“, „ზეპირი მოსმენა შპს „დეგუსტო ინტერნეიშენალსა“ და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ შორის არსებული დავის შესახებ“, ფიზიკურ პირსა და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ შორის არსებული დავის შესახებ კომისიის 2019 წლის 23 აგვისტოს, 3 სექტემბრის, 13 სექტემბრისა და 22 ოქტომბრის სხდომების ოქმებიდან ამონარიდები
(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);
- 11.02.2019წ. №1521/01 განცხადება – ფიზიკურ პირსა და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის არსებულ დავაზე კომისიის 2015 წლის 6 აპრილის სხდომის ოქმიდან ამონარიდი
(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);
- 21.02.2019წ. №2061/01 განცხადება – ფიზიკურ პირსა და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ შორის არსებულ დავაზე კომისიის 2018 წლის 2, 15, 22 ნოემბრისა და 6 და 14 დეკემბრის სხდომების ოქმებიდან ამონარიდები
(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);
- 07.02.2019წ. №1447/01 განცხადება – საცხოვრებელი ბინების გამქირავებელ პირებსა და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ შორის არსებულ დავებზე კომისიის 2018 წლის 13 დეკემბრისა და მანამდე ჩატარებული სხდომების ოქმების ჩანაწერები
(მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, არ მიეწოდა კომისიის 2018 წლის 13 დეკემბრამდე ჩატარებული სხდომების ოქმების ჩანაწერები საცხოვრებელი ბინების გამქირავებელ პირებსა და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ შორის არსებულ დავებზე, განემარტა, რომ აღნიშნული ჩანაწერები შეიცავს სხვა ფიზიკურ პირთა პერსონალურ მონაცემებს, რის გამოც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა თანახმად, კომისია მოკლებულია მათი გადაცემის შესაძლებლობას);
- 10.01.2019წ. №219/01 განცხადება – სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგება
(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);
- 06.09.2019წ. №8629/01 განცხადება – ნეტო აღრიცხვაში ჩართული პირების შესახებ ელექტრონული ბაზა შემდეგი ინფორმაციით: მომხმარებლის (იურიდიული/ფიზიკური პირი) მითითება, მისი მისამართი, ნეტო აღრიცხვის სისტემაში ჩართვის თარიღი,

სადგურის სიმძლავრე; რომელმა მომხმარებლებმა გაზარდეს სადგურის სიმძლავრე და რომელი მომხმარებლები აღარ არიან ახლა მიერთებული

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

- 21.10.2019წ. №9848/01 განცხადება – გაზის იმპორტის მოცულობა და საშუალო საიმპორტო ფასი წყაროების მიხედვით 2018 წლისათვის, ელექტროენერჯის საშუალო საიმპორტო ფასი ქვეყნების მიხედვით 2018 წლისათვის

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, არ მიეწოდა ინფორმაცია ბუნებრივი გაზის იმპორტის საშუალო ფასის შესახებ წყაროების მიხედვით და ელექტროენერჯის იმპორტის საშუალო ფასი ქვეყნების მიხედვით, რადგან აღნიშნული, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას);

- 02.05.2019წ. №4716/01 განცხადება – ფიზიკურ პირსა და შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ შორის დავის შესახებ კომისიაში არსებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად);

- 16.04.2019წ. №4183/01 განცხადება – ფიზიკურ პირსა და სს „საქორგგაზს“ შორის არსებული დავის შესახებ კომისიაში არსებული ადმინისტრაციული წარმოების მასალა, კომისიის 2019 წლის 21 და 27 მარტის სხდომების ოქმები როგორც აუდიო, ისე ბეჭდური ფორმით

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სხდომის ოქმი მიეწოდა იმ ფორმით, როგორც იგი არსებობს კომისიაში);

- 03.06.2019წ. №5723/01 განცხადება – ფიზიკურ პირსა და სს „საქორგგაზს“ შორის არსებული დავის შესახებ კომისიის 2019 წლის 12 აპრილისა და 18 აპრილის სხდომების ოქმებიდან ამონარიდები

(მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად).

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულია და მასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ თანხის გადახდის ვალდებულება კომისიას არ ჰქონია.

საანგარიშო პერიოდში კომისიას გადაწყვეტილება სხდომის ნაწილის დახურვის თაობაზე არ მიუღია. კომისია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

მოთხოვნის შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის მფლობელი კომპანიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში მიღებულია 11 გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს კომერციული საიდუმლოების შესახებ ინფორმაციას.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ მიიღო:

2 გადაწყვეტილება სრულად კომერციულ საიდუმლოებად ცნობის თაობაზე;

7 გადაწყვეტილება ინფორმაციის ნაწილობრივ კომერციულ საიდუმლოებად ცნობის თაობაზე;

2 გადაწყვეტილება კომერციულ საიდუმლოებად ცნობის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმის შესახებ.

კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტი აწარმოებს კომისიის უწყებრივ რეესტრებს (მათ შორის, მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენციის რეესტრს). კომისიაში შემოსულ და კომისიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სამართლებრივი, ეკონომიკური, სალიცენზიო და სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტები შედის კომისიის საარქივო ფონდში.

კომისიაში შემოსული და გაგზავნილი საიდუმლო დოკუმენტაციის საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით საგანგებოდ დანიშნული პირი.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომისია აწარმოებს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრს, რომელშიც საანგარიშგებო პერიოდში შეტანილ იქნა 3 ახალი ჩანაწერი და ამოღებული – 3 ჩანაწერი, ხოლო 11 არსებულ ჩანაწერში შევიდა ცვლილება, რაც გამოწვეული იყო ამავე პერიოდში ლიცენზიების გაცემით, გაუქმებითა და ცვლილების შეტანით.

კომისიის წარდგინებით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული მონაცემები შეიტანება სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრში და ლიცენზიის გაცემის თობაზე ინფორმაცია ქვეყნდება სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე.

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ მოთხოვნილი, დამუშავებული და შენახული იქნა პერსონალური მონაცემები შემდეგი ფუნქციების განხორციელებისას:

- თანამშრომელთა პირადი საქმეების შედგენისას;
- სტაჟიორთა და პრაქტიკანტთა პირადი საქმეების შედგენისას;
- ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეთა დოკუმენტაციის დამუშავებისას;
- კომისიაში მოქალაქეების მიერ წარმოდგენილ განცხადებებში მითითებული პერსონალური მონაცემების დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში ელექტრონული ფორმით შენახვისას.

პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის შენახვა კომისიაში წარმოებს როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური ფორმით. ორივე შემთხვევაში ინფორმაციის შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესი დაცულია. კომისიას გააჩნია მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს თანამშრომელთა პერსონალურ მონაცემებს და მასზე წვდომა აქვს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს კომპეტენციის ფარგლებში.

კომისიის პასუხისმგებელ პირთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისა და მათთვის დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევა არ მომხდარა.

კომისია ასრულებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე მუხლის მოთხოვნებს კომისიის სხდომათა საჯაროობის თაობაზე, კერძოდ: ღიად და საჯაროდ წარმართავს თავის სხდომებს, ასრულებს მოთხოვნას საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე.

ლიცენზიების გაცემის, მათი მოდიფიცირების ან გაუქმების, მათი მოქმედების შეჩერების, ტარიფების დადგენის, შეცვლის ან გაუქმების თაობაზე, აგრეთვე მოქალაქეებსა და კომისიის რეგულირებად სფეროში არსებულ კომპანიებს შორის, ან თავად ამ კომპანიებს შორის არსებულ დავებზე კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ეწყობა საჯარო

განხილვები. ცნობები საჯარო სხდომების ჩატარების შესახებ ქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის 109 სხდომა, რომლებზეც კომისიამ მიიღო 47 დადგენილება და 2080 გადაწყვეტილება. კომისიის სხდომები საჯაროა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სხდომა ან მისი ნაწილი დახურულია, და მათზე დასწრება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. კომისიის მიერ მიღებული დადგენილებები და გადაწყვეტილებები სისტემატურად ქვეყნდება ინტერნეტში კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.gnerc.org და, შესაბამისად, უზრუნველყოფილია მათი საჯაროობაც.

„საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში არსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2014 წლის 28 მარტის №7 დადგენილებით განისაზღვრა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულება და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი. 2014 წლის 25 დეკემბრის №52/15 გადაწყვეტილებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი. ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად, კომისია უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას საკუთარ ვებგვერდზე.

მარეგულირებელი კომისიის ვებგვერდზე www.gnerc.org, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მისი პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, საჯარო ინფორმაცია ქვეყნდება სრულად. ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე საჯაროდ განთავსებულ ინფორმაციას.